



# „სარტყელი და გზა“ – ჩინეთის ინიციატივა, როგორც გლობალური ეკონომიკური თანამშრომლობის ახალი მოდელი

## კვლევითი ნაშრომის პრეზენტაცია

*დოქტორი დავით აფციაური, ელჩი, პეკინის საერთაშორისო  
ბიზნესის და ეკონომიკის უნივერსიტეტის მინვეული პროფესორი,  
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს  
ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო  
და კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მკვლევარი*

*4 ივლისი, თბილისი, საქართველო*

### ინიციატივა „სარტყელი და გზა“ - მოკლე ისტორიული მიმო- ხილვა და ძირითადი მოვლენების ქრონოლოგია

- 2013 წელს, ყაზახეთში, ჩინეთის პრეზიდენტმა მისმა აღმატე-  
ბულებამ სი ძინპინმა ინიციატივის შესახებ განაცხადა. წინა-  
მდებარე სტრატეგია მოიცავდა ორ ძირითად პროექტს: „აბრე-  
შუმის გზის ეკონომიკურ სარტყელს“ (SREB, ევრაზიის სახმე-  
ლეთო მარშრუტი, რომელიც ჩინეთს ევროპასთან აკავშირებს)  
და „21-ე საუკუნის საზღვაო აბრეშუმის გზას“ (MSR, რომელიც  
ჩინეთის ან ჩინეთის მიერ ინვესტირებულ პორტებს აფრიკის  
სანაპიროსთან და ევროპის ხმელთაშუა ზღვის პორტებთან  
აკავშირებს). ინიციატივის ძირითადი მიზანი იყო ჩინეთსა და

ცენტრალური აზიის, ევროპის და აფრიკის ქვეყნებს შორის, სავაჭრო კავშირების აღდგენა და ეკონომიკური საქმიანობის სტიმულირება.

- 2013-2014 წლებში „ერთი სარტყელი - ერთი გზის“ კონცეფციის და მიზნების შესახებ ჩინეთის საზოგადოებასთან დისკუსიები დაიწყო, დაფიქსირდა საერთაშორისო თანამეგობრობის პირველი რეაქციაც.
- 2014 წელს ჩინეთის მთავრობამ „აბრეშუმის გზის ფონდის“ დაარსების შესახებ განაცხადა (40 მილიარდი აშშ დოლარის ბიუჯეტით) აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობის (APEC) სამიტზე, პეკინში. ფონდის დაარსების მიზანი იყო თანხები გამოყოფა ჩინური კომპანიებისთვის - „სარტყელის და გზის“ ინიციატივის პოტენციური პარტნიორებისთვის.
- 2014 წლიდან, „სარტყელის და გზის“ ინიციატივის ფარგლებში, ჩინეთმა პარტნიორ ქვეყნებთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება დაიწყო. ამჟამად, ჩინეთის მთავრობასთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი 150 ქვეყანას აქვს გაფორმებული.
- 2015 წელს, „სარტყელის და გზის“ ინიციატივასთან დაკავშირებული აქტივობების კოორდინაციის მიზნით, ჩინური ორგანიზაციების წამყვანი ჯგუფი შეიქმნა: ეროვნული განვითარების და რეფორმების კომისია, საგარეო საქმეთა სამინისტრო და კომერციის სამინისტრო.
- 2015 წელს დაფუძნდა აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკი (AIIB) 100 მილიარდი აშშ დოლარის საწყისი კაპიტალის ფონდით, რომელიც „სარტყელის და გზის“ ინიციატივის ქოლგის ქვეშ მოქმედი ბიზნეს პროექტების დაფინანსების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს.
- 2015 წელს შემუშავდა კონკრეტული პოლიტიკა, რომელმაც „სარტყელი და გზის“ ფარგლებში ექვსი სატრანზიტო დერეფანი განსაზღვრა:
  1. „ახალი ევრაზიული სახმელეთო ხიდი“ - სარკინიგზო მაგისტრალი, რომელიც ცენტრალურ ჩინეთს - უხანს, ჩუნცინს

და ჩინდუს ევროპასთან ყაზახეთის, რუსეთის და ბელარუსის მეშვეობით აკავშირებს;

2. დერეფანი „ჩინეთი-მონღოლეთი-რუსეთი“ - ტრანსციმბირის სარკინიგზო მაგისტრალის გამოყენებით;
3. დერეფანი „ჩინეთი-ცენტრალური აზია-დასავლეთ აზია“, რომელიც საბოლოოდ ჯერ კიდევ არ არის განსაზღვრული, თუმცა, ზოგადად, ძველი „აბრეშუმის გზის“ მარშრუტს ასახავს ცენტრალური აზიის, ირანის, თურქეთის მეშვეობით, ევროპის მიმართულებით. აღნიშნული მარშრუტის განსხვავებულ ვერსიას წარმოადგენს სამხრეთ კავკასიის გზა კასპიის ზღვით, ირანის გამოტოვებით, თურქეთიდან ევროპისკენ;
4. დერეფანი „ჩინეთი – ინდოჩინეთის ნახევარკუნძული“;
5. დერეფანი „ჩინეთი – პაკისტანი“, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია ავტომაგისტრალის და რკინიგზის მშენებლობა პაკისტანის გავლით, გვადარის პორტამდე;
6. დერეფანი „ბანგლადეში-ჩინეთი-ინდოეთი-მიანმარი“ - ეკონომიკური კორიდორები, რომელიც აზიის ეკონომიკური წრის ევროპის ეკონომიკურ წრესთან დაკავშირების საშუალება იქნება.

აღნიშნულმა დერეფნებმა მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშოს ქვეყნებს შორის პარტნიორული კავშირების დამყარებასა და განმტკიცებაში, ამასთან, ეფექტიანი და შეუფერხებელი ევრაზიული ბაზრის ფორმირების პროცესში. „21-ე საუკუნის საზღვაო აბრეშუმის გზა“ მიზნად ისახავს რეგიონული საზღვაო მარშრუტების დაკავშირებას მალაკის სრუტიდან ინდოეთის ოკეანის, ახლო აღმოსავლეთის და აფრიკის მიმართულებით.

- 2017 წელს ჩინეთის ეროვნული განვითარების და რეფორმების კომისიამ, ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ და ჩინეთის კომერციის სამინისტრომ წარადგინეს „სარტყელი და გზის“ ერთიანი კონცეფცია სახელწოდებით „აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელის და 21-ე საუკუნის საზღვაო აბრეშუმის გზის ერთობლივი მშენებლობის ხედვა და ქმედებები“. ეს

კონცეფცია ფარავს სახმელეთო და საზღვაო ტერიტორიებს, რომელიც მოიცავს 60-ზე მეტ ქვეყანას 4,4 მილიარდი მოსახლეობით (მსოფლიოს მოსახლეობის 63%), მსოფლიოს ეკონომიკის თითქმის 30 პროცენტს (6 ტრილიონი აშშ დოლარი), მსოფლიოს ექსპორტის 23,99 პროცენტს, საერთაშორისო სავაჭრო მოცულობის ერთ მესამედს და ევროპის და აზიის სივრცეში 81,000 კილომეტრ სარკინიგზო ქსელს. გაეროს ქარტიის დებულებების და მშვიდობიანი თანაარსებობის ხუთი პრინციპის საფუძველზე, აღნიშნული სტრატეგია ხელს უწყობს საბაზრო ეკონომიკის შემდეგ ღირებულებებს: **გამჭვირვალობა** (ლიაა საერთაშორისო სამართლის ნებისმიერი ობიექტისთვის და მათი რაოდენობა ვერ შემოიფარგლება „აბრეშუმის გზის“ მხოლოდ ძველი პროექტის მონაწილეებით); **ჰარმონიულობა** და **კომპლექსურობა**, რომელიც გულისხმობს ტოლერანტულ მიდგომას და კულტურულ ტრადიციებს, **დიალოგს** ცივილიზაციებს შორის და სუვერენიტეტს; ეკონომიკურ საქმიანობაში საბაზრო პრინციპების წამყვანი როლი იმ პრიორიტეტების გათვალისწინებით, რომელიც განსაზღვრულია მონაწილეთა მთავრობების მიერ; საერთო სარგებელს და მხარეთათვის ურთიერთმომგებიანი თანამშრომლობის მოდელს.

- ინიციატივას „სარტყელი და გზა“ ხუთი განზომილება აქვს:
  - პოლიტიკის კოორდინაცია** - მთავრობათაშორისი თანამშრომლობის ხელშეწყობა, მრავალდონიანი მთავრობათაშორისი მაკრო პოლიტიკის გაცვლა და კომუნიკაციის მექანიზმი;
  - ობიექტების კავშირი** - ინფრასტრუქტურის მშენებლობის გეგმების ურთიერთკავშირის გაუმჯობესება და ერთიანი ტექნიკური სტანდარტების სისტემები;
  - შეუფერხებელი ვაჭრობა** - საინვესტიციო და სავაჭრო ბარიერების შემცირება, რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა;
  - ფინანსური ინტეგრაცია** - კოორდინაცია და თანამშრომლობა მონეტარული პოლიტიკის სფეროში, ფინანსური ინსტიტუტების ფორმირება;
  - სახლთა შორის კავშირები** - კულტურულ და აკადემიურ წრეებში ინფორმაციის გაცვლა და დიალოგი, მედიასთან თანამშრომლობა.

- დაიწყო თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობების ხელშეწყობა და პირველი საინვესტიციო პროექტების ჩაშვება.
- 2017 და 2019 წელს ჩატარდა „სარტყელის და გზის“ ინიციატივის გლობალური ფორუმები პეკინში. ამ ეტაპზე, შეიმჩნევა ინტერესის ამკარა ზრდა საერთაშორისო ღონისძიების მიმართ - თითქმის 5 000 მონაწილე 150-ზე მეტი ქვეყნიდან და 90 საერთაშორისო ორგანიზაციიდან, მათ შორის, სახელმწიფოთა და მთავრობის მეთაურების შთამბეჭდავი რაოდენობა და გაეროს მაღალი წარმომადგენლები აღნიშნულ გლობალურ შეხვედრას 2019 წლის აპრილში შეუერთდნენ. „ინიციატივა „სარტყელი და გზა“ მიზნად ისახავს კაცობრიობის წინაშე არსებული სხვადასხვა გამოწვევის და რისკების ერთობლივად დაძლევის, ურთიერთსასარგებლო შედეგების მიღწევას და საერთო განვითარებას“ - განაცხადა ჩინეთის პრეზიდენტმა, მისმა აღმატებულეებამ, სი ძინპინმა 2019 წლის პეკინის ფორუმზე მისასალმებელი სიტყვით გამოსვლისას.
- 2018 წელს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს საინფორმაციო ბიურომ გამოაქვეყნა თეთრი წიგნი - „ჩინეთის არქტიკის პოლიტიკა“, რომელიც ჩინეთის არქტიკის გრძელვადიან სტრატეგიას განსაზღვრავს. აღნიშნული სტრატეგია, თავის მხრივ, „სარტყელის და გზის“ ინიციატივის ფარგლებში, „პოლარული აბრეშუმის გზის“ განვითარებას ითვალისწინებს.
- 2019 წელს დაფუძნდა „სარტყელის და გზის კვლევების ქსელი“ და დაიწყო თანამშრომლობის ხელშეწყობა აკადემიურ და სამეცნიერო საზოგადოებებს შორის.

**შეიძლება თუ არა, ინიციატივა „სარტყელი და გზა“ მივიჩნიოთ გლობალური ეკონომიკური თანამშრომლობის ახალ და პერსპექტიულ მოდელად?**

**არგუმენტები სასარგებლოდ**

- ინიციატივა „სარტყელი და გზა“ ღიაა ყველა პოტენციური მონაწილისთვის და ეფუძნება თავისუფალ არჩევანს თანამშრომლობის გადაწყვეტილების შესახებ. ინიციატივა „სა-

რტყელი და გზა“ ჩინეთში წარმოიშვა, თუმცა იგი მსოფლიოს ეკუთვნის. აღნიშნულ ინიციატივას აქვს ისტორიული ფესვე-ბი, თუმცა მომავალზეა ორიენტირებული. ის ფოკუსირულია აზიაზე, ევროპასა და აფრიკაზე, მაგრამ ღიაა ყველა პარტნი-ორისთვის. „სარტყელი და გზა“ ღია, ინკლუზიური და საერთო განვითარების პროცესია, არ არის „ჩინეთის კლუბის“ ექსკლუ-ზიური ბლოკი, არ განასხვავებს ქვეყნებს იდეოლოგიის მიხედ-ვით, არ თამაშობს ნულოვან თამაშს. სურვილის შემთხვევაში, ქვეყნების ინიციატივასთან მიერთება მისასაღმებელია („სა-რტყელის და გზის“ ინიციატივის პროგრესი, კონტრიბუციები და პერსპექტივები, წყარო: „სარტყელის და გზის პორტალი“ 2019-04-22).

- დღეს, საერთაშორისო ურთიერთობების გლობალურ ჩარჩო-ში, დავების ახალ ტალღას ვაკვირდებით: აშშ-ჩინეთი (ვაჭ-რობის სფერო), აშშ-რუსეთი (უსაფრთხოების საკითხები, რუსეთის მიერ მეზობელი ქვეყნების ტერიტორიების ოკუ-პაცია, ეკონომიკური სანქციები და სხვა), აშშ-ევროკავშირი (ვაჭრობა, მიგრაციის პოლიტიკა და სხვა), ევროკავშირ-რუ-სეთი (რუსეთის მიერ მეზობელი ქვეყნების ტერიტორიების ოკუპაცია, ეკონომიკური სანქციები და სხვა); პოლიტიკურ და ეკონომიკურ ასპექტებზე ევროკავშირში სხვადასხვა პოზი-ცია ფიქსირდება უცხოელი პარტნიორების მიმართ, კრიზისი გრძელდება ახლო აღმოსავლეთში და ასე შემდეგ. აღნიშნული ტენდენციები მსოფლიო სტაბილურობას ნაკლებად პროგნო-ზირებადს ხდის. ამ მოცემულობის გათვალისწინებით, ბევრმა ქვეყანამ გადაიტანა ყურადღება „სარტყელის და გზის“ ინი-ციატივაზე, როგორც სტაბილური ეროვნული განვითარების და გლობალური უსაფრთხოების უფრო პერსპექტიულ შესაძ-ლებლობაზე.
- ჩინეთი ცდილობს, ხელი შეუწყოს გამჭვირვალობას და კო-რუფციასთან მიმართებით აცხადებს ნულოვან ტოლერანტო-ბას, რომელიც ეფუძნება 2019 წლის პეკინის „სარტყელის და გზის“ ინიციატივის ფორუმზე გამოცხადებულ „სუფთა აბრე-შუმის გზის“ კონცეფციას. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი მი-დგომაა, რომელიც წარმატებული განხორციელების შემთხვე-

ვაში, მინიმუმამდე ამცირებს კორუფციული გარიგებების რისკს, რაც ხშირია გარდამავალ ეკონომიკაში. გარდა ამისა, აღნიშნული პოლიტიკა შეესაბამება ჩინეთის მთავრობის კურსს - ებრძოლოს კორუფციულ გარემოს ქვეყნის ცხოვრების ყველა დონეზე.

- ჩინეთმა კარგი მომენტი აირჩია ახალი ინიციატივის გამოსაცხადებლად - 2008 წლიდან საერთაშორისო საზოგადოება მსოფლიო ფინანსური კრიზისის მიძიმე შედეგების წინაშე დგას, მათ შორის, აღსანიშნავია, ევროზონის ფინანსური ტურბულენტობა და მსოფლიო ეკონომიკური სტაბილურობის რისკების პრევენციის კუთხით მსოფლიო ბანკის ეფექტიანობის შემცირება. პარალელურად, ჩინეთი დინამიურად ვითარდება 2014 წლამდე ყოველწლიურად მშპ-ის თითქმის 10%-იანი, ამჟამად კი 6,7%-იანი ზრდით. მსოფლიოს უკიდურესად სჭირდება ახალი მიდგომები და რესურსები კრიზისების გადასალახად და პროგნოზირებადი განვითარებისთვის. მოცემულ კონტექსტში, ლოგიკურად უღერს ჩინეთის ანალიტიკური ცენტრის, შანხაის საერთაშორისო ურთიერთობების კვლევითი ინსტიტუტის ვიცე-პრეზიდენტის იან ძინის შემდეგი დაკვირვება: „მიზეზი, თუ რატომ ჰპოვეს „სარტყელის და გზის“ ინიციატივა უფრო და უფრო ფართო აღიარებას არის ის, რომ მონაწილე ქვეყნების ხელშეწყობის და განვითარების გარდა, მას ასევე წვლილი შეაქვს ფინანსური კრიზისის შემდეგ მსოფლიო ეკონომიკის აღდგენის პროცესში და შეესაბამება გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებს“.
- „სარტყელის და გზის“ ინიციატივა არ არის დროში შეზღუდული პროექტი. ის წარმოადგენს პლატფორმას გრძელვადიანი და ყოვლისმომცველი შიდა რეგიონული თანამშრომლობისთვის, რომელიც ფარავს სექტორებს, როგორცაა ინფრასტრუქტურა, ვაჭრობა, ტრანსპორტი, წარმოება, ფინანსური ურთიერთობები, კომუნიკაცია, თანამედროვე ტექნოლოგიები და სხვა. როგორც შვეიცარიის კონფედერაციის პრეზიდენტი, ბატონმა მაურერმა აღნიშნა ჩინურ მედია საშუალებებთან ინტერვიუში 2019 წლის პეკინის „სარტყელის და გზის“ ინიციატივის ფორუმზე, „სარტყელის და გზის“ ინიციატივა

წარმოადგენს იშვიათ, გრძელვადიან გეგმას, რომელმაც შექმნა ახალი განზომილება მსოფლიოს ეკონომიკის განვითარებისთვის.

- თანამშრომლობის მრავალმხრივი ინსტიტუციური ერთეულების არარსებობა (როგორცაა სამდივნოები, საბჭოები და სხვა), რომელიც არ გამოირიცხავს, თუმცა ამცირებს ბიუროკრაციას და მიისწრაფის პოლიტიკური კონსენსუსისკენ. მართვის ეს მოდელი „სარტყელის და გზის“ ინიციატივის მენეჯერებისგან მოითხოვს ეფექტიან და დროულ გადაწყვეტილებებს, განსაკუთრებით, ბიზნეს კომპანიების და სახელმწიფო ორგანიზაციების დონეზე. ჩინეთში, ქვეყნის მოცულობიდან და სხვა ფაქტორებიდან გამომდინარე, გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით ურთიერთობები სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებს შორის მრავალსაფეხურიანი და გრძელვადიანია. „სარტყელი და გზა“ მოითხოვს ახლო მომავალში მათ ადაპტირებას თანამედროვე საერთაშორისო ბიზნეს თანამშრომლობის დინამიურად განვითარებად ნორმებთან. ზოგიერთი სხვა პარტნიორი ქვეყანა უფრო მეტად არის ადაპტირებული თანამედროვე საქმიან ურთიერთობებთან, თუმცა სათანადოდ ვერ აფასებს ბიზნესის და კულტურის სფეროში ჩინეთის ტრადიციების თავისებურებებს.
- „სარტყელის და გზის“ ინიციატივის მიმართ არსებული გლობალური ინტერესი, რაც გამოიხატება ყველა კონტინენტის 150-მდე ქვეყნის მონაწილეობით, ფაქტობრივად უტოლდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მასშტაბს მსოფლიო თანამშრომლობის კუთხით. 2019 წლის მარტის ბოლოსთვის, ჩინეთის მთავრობამ ხელი მოაწერა თანამშრომლობის შესახებ 173 შეთანხმებას 125 ქვეყანასთან და 29 საერთაშორისო ორგანიზაციასთან, რომელიც ეფუძნება საერთო საფუძვლების ძიების პრინციპს, თუმცა ამავედროულად იტოვებს განსხვავებული შეხედულებების უფლებას და თანხმდება ეკონომიკური თანამშრომლობის გეგმებზე. როგორც მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის დამფუძნებელმა და თავმჯდომარემ, ბატონმა კლაუს შვაბმა 2019 წელს პეკინის „სარტყელის და გზის“ ინიციატივის ფორუმზე სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, „ახლა



ინიციატივა გახდა ზრდასრული, რაც ნიშნავს, რომ იგი წარმოადგენს გლობალური ეკონომიკის მნიშვნელოვან ფაქტორს. იგი გაიზარდა“.

- „სარტყელის და გზის“ ინიციატივის ფარგლებში, უმეტესად ჩინეთის კონტრიბუციის წყალობით, ხდება უზარმაზარი ფინანსური რესურსების მობილიზება, როგორც მონაწილე ქვეყნების ეკონომიკური განვითარებისთვის, ასევე მსოფლიოს ეკონომიკის და უსაფრთხოების სტაბილურობის განმტკიცებისთვის. გლობალური პარტნიორობის ძირითადი აქციონერია აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკი 100 მილიარდი აშშ დოლარის კაპიტალიზაციით, აბრეშუმის გზის ფონდი - 40 მილიარდი აშშ დოლარი, ახალი განვითარების ბანკი - 50 მილიარდი აშშ დოლარი. ასევე, ჩინეთის პრეზიდენტმა 2017 წელს წარმოადგინა დამატებითი 24 მილიარდი დაფინანსების ინიციატივა. უხეში გათვლებით, საჭიროა 4 - დან 8 ტრილიონამდე აშშ დოლარის ინვესტიცია, რათა „სარტყელის და გზის“ ინიციატივა გახდეს წარმატებული პროექტი, რომელიც ეფუძნება დაფინანსების მრავალფეროვან წყაროებს („სარტყელის და გზის“ ინიციატივის აქციები, კერძო კაპიტალის ინვესტიციები და საჯარო-კერძო პარტნიორობა, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სანარმო და სხვა).
- უპირატესობა ენიჭება ფართომასშტაბიანი და მაღალი ღირებულების ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას - გზების, ხიდების, აეროპორტების, საზღვაო პორტების, ლოგისტიკური ჰაბების, ენერგო და საკომუნიკაციო ცენტრების მშენებლობას. ამ პროექტების უმეტესობა ცენტრალურ აზიაში ხორციელდება: 2015 წლიდან ამუშავდა ჩინეთ-ყაზახეთის საზღვარზე ხორგოსის მშრალი პორტები; ჩინეთის დიანსუს პროვინციაში იგეგმება 600 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიციების ჩადება 2020 წლამდე, ხორგოსში ლოჯისტიკური და ინდუსტრიული ზონების მშენებლობისთვის. ახალი სარკინიგზო ხაზები ხორგოსს, ყაზახეთის აქტაუს პორტს და ჩინეთ-ყირგიზეთ-უზბეკეთს შორის განავითარებს „სარტყელის და გზის“ ინიციატივის ჩინეთ-ცენტრალური აზიის-სამხრეთ კავკასიის-ევროპის დერეფანს. ენერგეტიკის სექტორში ჩინეთი

შეუთანხმდა უზბეკეთს, ტაჯიკეთსა და ყირგიზეთს ცენტრალური აზიის მეოთხე გაზსადენის მშენებლობაზე, რომელიც გაზრდის თურქმენული გაზის მიწოდებას ჩინეთში, 55 მილიარდი კუბური მეტრიდან 85 მილიარდ კუბურ მეტრამდე.

- გაუმჯობესებული კავშირები თანამშრომლობისთვის დამატებით მიმზიდველ მოტივაციას წარმოადგენს. აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანსპორტო სახმელეთო მარშრუტები ჩინეთიდან ევროპამდე ტვირთების მიწოდების დროს 12-14 დღემდე ამცირებს, მაშინ, როდესაც საზღვაო გადაზიდვებს 30-35 დღე სჭირდება.
- „სარტყელის და გზის“ ინიციატივის მონაწილეებს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ორმხრივი შეთანხმებების გაფორმებით, მრავალი ქვეყნისთვის უზარმაზარი ჩინური ბაზრის და ჩინელი მწარმოებლებისთვის ახალი განვითარებადი ბაზრების გახსნის მეშვეობით ხელი შეეწყობა სავაჭრო ურთიერთობების შემდგომ ლიბერალიზაციას ჩინეთსა და ისეთ ქვეყნებს შორის, როგორცაა ავსტრალია, შვეიცარია, ახალი ზელანდია, სინგაპური, ისლანდია, საქართველო (პირველი ქვეყანა პოსტ-საბჭოთა სივრციდან) და სხვები. ამ საკითხზე მოლაპარაკების პროცესში არიან იაპონია, კორეა, ნორვეგია, ისრაელი და სხვები. ინიციატივის ახალ ელემენტს წარმოადგენს მრავალმხრივი თანამშრომლობის გაღრმავება, რომელიც უპირველეს ყოვლისა, ორმხრივი მიდგომას და შესაბამის ინტერესს ეფუძნება. 2013-2018 წლებში ჩინეთის ვაჭრობამ „სარტყელის და გზის“ ინიციატივის მონაწილე ქვეყნებთან გადააჭარბა 6 ტრილიონ აშშ დოლარს, პირდაპირი ინვესტიციების შემთხვევაში - 90 მილიარდამდე აშშ დოლარს (წყარო: China Daily 2019). ჩინეთმა თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებები 20-ზე მეტ ქვეყანასთან გააფორმა. 2017 წლის მონაცემებით და ჩინეთის კომერციის სამინისტროს თანახმად, 56 ეკონომიკური და სავაჭრო თანამშრომლობის ზონა შეიქმნა „სარტყელის და გზის“ ინიციატივასთან დაკავშირებულ სფეროებში.
- იზრდება ჩინეთის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები „სარტყელის და გზის“ ინიციატივის მონაწილე ქვეყნებში. ჩინე-

თის კომერციის სამინისტროს თანახმად (ციტირება - Shuiyi, 2017), სრულმა ინვესტიციებმა ინიციატივის გამოცხადებიდან 50 მილიარდი აშშ დოლარიდან, ახლად გაფორმებული კონტრაქტებით, 2017 წლისთვის 304,9 მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბა. ძირითადად ენერგეტიკის, ტრანსპორტირების და საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროებში ჩინეთმა ინვესტიციები სამი ძირითადი მიმართულებით განახორციელა: სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია, ახლო აღმოსავლეთი და სამხრეთ აზია (წყარო: Blue Book of Outbound Investment and Risks, გამოშვებულია პეკინში დაფუძნებული კომპანიის - China Bond Rating Co Ltd და ჩინეთის სოციალური მეცნიერებების აკადემიის მიერ, Shuiyi, 2017).

- ინიციატივა „სარტყელი და გზა“ არის მცდელობა, დაამყაროს თანამშრომლობის იმგვარი მოდელი, რომელიც დაფუძნებულია არა მხოლოდ ბიზნეს მოტივაციაზე, არამედ ასევე ხელს შეუწყობს კულტურულ გაცვლას ხალხთაშორისი კონტაქტების მეშვეობით და აღმოსავლური და დასავლური ისტორიის და კულტურის მდიდარი ტრადიციების ურთიერთკავშირს. არაეკონომიკური სტიმულირების ფაქტორების განმტკიცება, რომელიც, ჩვენი აზრით, არ არის სათანადოდ შეფასებული, მნიშვნელოვანია ერთმანეთის უკეთ გაცნობის, პატივისცემის და ნდობის ჩამოყალიბებისთვის. 2018 წლის პირველი ნახევრისთვის, „აბრეშუმის გზის“ სტიპენდიამ მიაღწია 39,3 მილიონ აშშ დოლარს, საიდანაც დაფინანსდა 66 100 ჩინელი სტუდენტი, რომლებიც ამჟამად „სარტყელის და გზის“ ინიციატივის მონაწილე ქვეყნებში სწავლობენ; 81 საგანმანათლებლო ინსტიტუტი და პროექტი, რომელიც ასევე მუშაობს „სარტყელის და გზის“ ინიციატივის მონაწილე ქვეყნებში; ამავე ინიციატივის ფარგლებში, 24 მილიონი ჩინელი ეწვია „სარტყელის და გზის“ პარტნიორ ქვეყნებს და 10 მილიონი ვიზიტორი იყო ჩასული ჩინეთში ამ ქვეყნებიდან (წყარო: China Daily 2019).
- ინიციატივა „სარტყელი და გზა“, თავდაპირველი დაკვირვებით, უფრო პრაგმატული და ნაკლებად პოლიტიკური იქნება, ვიდრე გაეროს თუ სხვა წამყვანი საერთაშორისო, ეკონომიკური და ფინანსური ინსტიტუტების სტრუქტურები.

- აღნიშნული მოდელი ქმნის პრეცედენტს, როცა ერთი ქვეყანა იწყებს ახალ, გლობალურ პროექტს შიდა განვითარების საჭიროებისთვის - რათა დააჩქაროს ეკონომიკური ზრდა ჩინეთის ნაკლებად განვითარებული რეგიონებისთვის და უზრუნველყოს მათი ინტეგრირება არა მხოლოდ ქვეყნის ეკონომიკურად ძლიერ ნაწილთან, არამედ მათი სრულად ჩართვა მსოფლიო ეკონომიკაში.

## გამონვევები

გამონვევები ან რისკები შესაძლოა დავაჯგუფოთ:

- პოლიტიკური ან უსაფრთხოების რისკები
  - მაკროეკონომიკური და ფინანსური რისკები
  - ადამიანური ფაქტორები
  - სამართლებრივი რეგულაციების ხარვეზები
  - კულტურული განსხვავებები
  - გლობალური დავები სავაჭრო ურთიერთობების საკითხებზე
- ინიციატივის უპრეცედენტო მასშტაბები, მრავალფეროვნება და მონაწილეთა სხვადასხვა გამოცდილება გარკვეულ სირთულეებს ქმნის „სარტყელის და გზის“ კონცეფციის და პრინციპების მკაფიოდ გაგების კუთხით და საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის არსებულ მექანიზმებთან მისი შედარების თვალსაზრისით, ამ თანამშრომლობის სარგებლის წარმოსაჩენად. ინიციატივის გაცხადებიდან ექვსი წლის შემდეგაც კი, „სარტყელის და გზის“ მრავალი სხვადასხვა გაგება და არასწორი ინტერპრეტაცია არსებობს მონაწილეთა შორის. წარმოადგენს თუ არა აღნიშნული ინიციატივა აშშ-ის მიერ განხორციელებული მარშალის გეგმის ალტერნატივას, რომელიც მიზნად ისახავდა მეორე ომის შემდეგ ევროპის აღმშენებლობას, არის თუ არა ის გლობალური ეკონომიკური თანამშრომლობის ახალი ვერსია, რომელიც ანაცვლებს მსოფლიო ბანკს და საერთაშორისო სავალუტო ფონდს ან წარმოადგენს თუ არა ის ჩინეთის განზრახვას, მოიხრახვას ახალი როლი გლობალურ მმართველობაში?

- კონფრონტაცია აშშ-სა და ჩინეთს შორის ვაჭრობის საკითხებზე, რომელიც იკავებს საერთაშორისო სავაჭრო ოპერაციების მნიშვნელოვან ნაწილს, რასაც ემატება აშშ-ის, ინდოეთის, იაპონიის და სხვა მსხვილი ეკონომიკის ქვეყნების ნაკლები ენთუზიაზმი, მიუერთდნენ „სარტყელის და გზის“ ინიციატივას, გარკვეულწილად ზღუდავს სტაბილური მსოფლიო ეკონომიკის განვითარების შესაძლებლობას.
- „სარტყელის და გზის“ ინიციატივის მონაწილეები სხვადასხვა ინტეგრაციულ სტრუქტურას მიეკუთვნებიან მათი პოლიტიკური და ეკონომიკური სტრატეგიების შესაბამისად (ევროატლანტიკური ალიანსი, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა, ევროკავშირი, BRICS, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია, აზიური, არაბული, აფრიკული ორგანიზაციები). ამრიგად, გამონკვევას წარმოადგენს მათი პოლიტიკური, უსაფრთხოების და ეკონომიკური დღის წესრიგის მორგება „სარტყელის და გზის“ ინიციატივის იდეოლოგიასთან. იმისათვის, რომ ქვეყნები იყვნენ შესაბამისობაში საერთო სტრატეგიასთან, ალიანსები აწესებენ პოლიტიკურ თუ უსაფრთხოების ვალდებულებებს, რომლებიც ზოგჯერ გავლენას ახდენს მათ ეკონომიკურ ინტერესებზე. სწორედ ამიტომ, „სარტყელის და გზის“ ინიციატივის ფარგლებში დომინირებს ორმხრივი მიდგომა, რათა თავიდან იქნას აცილებული აღნიშნული შეუსაბამობები. შეგვიძლია ვთქვათ, რომ „სარტყელის და გზის“ ინიციატივას აქვს მულტინაციონალური თანამშრომლობის ქოლგა, თუმცა ეფუძნება ორმხრივ შეთანხმებებს.
- პოლიტიკური არასტაბილურობის რისკი „სარტყელის და გზის“ ინიციატივის ქვეყნების მიმდებარედ, გრძელვადიან ჭრილში, პრობლემურ ინვესტიციებს განაპირობებს. ეს ძირითადად ეხება ქვეყნებს, რომელთაც აქვთ სასაზღვრო კონფლიქტები, სახელმწიფოებრივი ან შიდა დაძაბულობა „სარტყელის და გზის“ ინიციატივის ქვეყნების მიმდებარედ. ზოგიერთი ქვეყანა წარმოადგენს რისკს, გაყინულ კონფლიქტის ზონებში „შავი ხვრელების“ გამო, სადაც უკანონო ეკონომიკური საქმიანობა და სხვა კრიმინალი ფიქსირდება. სავარაუდოდ, სწორედ ეს

არის შედარებით მცირე ინვესტიციების მიზეზი სამხრეთ კავკასიის რეგიონში და „სარტყელის და გზის“ ინიციატივის სხვა მონყვლად ადგილებში.

- „სარტყელის და გზის“ მარშრუტების მიმდებარედ საერთაშორისო ტერორიზმის პოტენციური საფრთხეები, ექსტრემიზმი და სეპარატიზმი სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენს და ქმნის „სარტყელის და გზის“ ინიციატივის ქვეყნებს შორის კოორდინაციის გაღრმავების საჭიროებას ამ მიმართულებით.
- ეს ინიციატივა ჩინეთის პირველი გამოცდილებაა, განახორციელოს გლობალური პროექტი, როგორც ერთ-ერთმა წამყვანმა ეკონომიკურმა ძალამ. ეს მნიშვნელოვანი გამოწვევაა ქვეყნისთვის, რომელსაც ნაკლები გამოცდილება აქვს თანამედროვე საერთაშორისო მენეჯერულ პრაქტიკაში. მეორე მხრივ, აღნიშნული დანაკლისი შესაძლოა შეივსოს შესაბამისი ადამიანური რესურსით - გადამდგარი ან ამჟამად დასაქმებული ჩინელი მოქალაქეებით, რომლებიც ხელმძღვანელობენ გაეროს სააგენტოებს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების რეგიონულ ოფისებს.
- „სარტყელის და გზის“ ინიციატივის განხორციელება შესაბამისობაში უნდა მოვიდეს ბიზნეს ურთიერთობების საერთაშორისო სტანდარტებთან ყველა დონეზე, უპირველეს ყოვლისა, კორპორატიულ დონეზე - ძირითად მოთამაშეებთან ურთიერთობისთვის.
- ინიციატივის სრულფასოვანი განვითარების და დაბალანსებული გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავებისთვის აუცილებელია „სარტყელის და გზის“ პროექტის პრიორიტეტების განსაზღვრა ქვეყნის და სექტორების დონეებზე, რაც სირთულეს წარმოადგენს.
- „სარტყელის და გზის“ ინიციატივის ხერხემალს, კავშირების გაფართოების მიზნით, ინფრასტრუქტურული პროექტები წარმოადგენს. ამ მხრივ, საბაჟო წესების, სატარიფო პოლიტიკის და სხვა პროცედურების გაუმჯობესება უნდა იყოს უპირველესი პრიორიტეტი, ვინაიდან ქვეყნების უმრავლესობას

დანესებული აქვს სხვადასხვა განაკვეთი და შეზღუდულნი არიან შესაბამისი ორგანიზაციების წინაშე აღებული ვალდებულებებით.

- „სარტყელის და გზის“ ინიციატივის ფარგლებში აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანზიტო მარშრუტების აქტივაცია მნიშვნელოვანია კომერციული კონკურენტული გარემოსთვის და ქვეყნების მოტივაციის მხარდასაჭერად - ითანამშრომლონ, განსაკუთრებით, თავისუფალი ვაჭრობის გარიგების დადების და ტვირთების გადაზიდვის, ტურიზმის და სხვა მომსახურებების განვითარების გზით.
- „სარტყელის და გზის“ ინიციატივის შთამბეჭდავ დღის წესრიგს და პოტენციურად ფართო სპექტრის პროექტებს, რომელიც მოიცავს ბევრ ქვეყანას და რეგიონს სხვადასხვა მზარდი ბაზრებით და შესაბამისი რისკებით, უკიდურესად სჭირდება მაღალკვალიფიციური ბიზნეს-მენეჯერები, რომელთაც შეუძლიათ იმუშაონ ეფექტიანად და სწრაფად, საერთაშორისო პრაქტიკასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით. ამჟამინდელი მდგომარეობა ადასტურებს, რომ „სარტყელის და გზის“ ინიციატივის განხორციელების დაწყებისას ეს პრობლემა მწვავედ იდგა. ჩვენი აზრით, აღნიშნული დაბრკოლება წარმოადგენს ერთ-ერთ ფუნდამენტურ არაეკონომიკურ რისკს, რომელსაც შეუძლია „სარტყელის და გზის“ ინიციატივა აქციოს „გზაზე ნელა მოძრავ მანქანად“. ჩინეთის უცხოური ეკონომიკური ურთიერთობების ლიბერალიზაცია უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში, ახალი ბაზრების გახსნის პარალელურად, გამოწვეული იყო ახალი დამოუკიდებელი ქვეყნების გამოჩენით, რაც ბოლო საუკუნის მანძილზე ინტენსიურად და დინამიურად გრძელდება. თუმცა, აღნიშნული პროცესის მონაწილეთა საერთაშორისო პროფესიონალური მზადყოფნა, ადეკვატურად არ არის გათვალისწინებული. კვალიფიციური ბიზნეს აღმასრულებლების განათლება და ტრენინგი ჩინეთის და მისი „სარტყელის და გზის“ ინიციატივის პარტნიორებისთვის წარმოადგენს სასწრაფოდ გადასაჭრელ პრობლემას.
- მსხვილ პროექტებს თან ახლავს ჩინეთის მიერ მოცულობითი სესხების გაცემა დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნებისთვის

- „სარტყელის და გზის“ ინიციატივის მონაწილე სახელმწიფოებისთვის. აღნიშნული ქვეყნების შესაძლებლობა, შეასრულონ თავიანთი ფინანსური ვალდებულებები, განსაზღვრავს გლობალური პროექტის ეფექტიანობას და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სტაბილურობას. გლობალური განვითარების ცენტრმა ცოტა ხნის წინ შეაფასა, რომ „სარტყელის და გზის“ ინიციატივის პროექტები გაზრდის ვალს მშპ-ის კოეფიციენტებთან მიმართებით „სარტყელის და გზის“ ინიციატივის ზოგიერთ ქვეყანასთან დაკავშირებით, რომელიც აღნიშნულ ვალს რისკის ქვეშ დააყენებს. „სარტყელის და გზის“ ინიციატივის პროექტებში მონაწილე სახელმწიფოებს დასჭირდებათ დააბალანსონ აღნიშნული განვითარების პროექტების აუცილებლობა მონყვლადობით, რომელიც შექმნილია გაზრდილი დავალიანების დონით (Michele Ruta, FRIB - ის შესახებ, 05.04.2008, მსოფლიო ბანკი).

- ჩინეთში სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციების საბანკო და ბიზნეს საქმიანობის შიდა რეგულირება უნდა მოერგოს საერთაშორისო სამართლის ნორმებს, რათა აღმოფხვრას ნაკლოვანებები ჩინეთის ბანკებს და მათ პარტნიორებს შორის. ჩინეთის მთავრობამ ახალი რეგულაციების მიღების პროცესი დაიწყო, რომელიც უცხოური კომპანიების და ბანკებისთვის საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად.